

მთავრობა სახელმწიფო ტყის ფონდის 4 პროცენტის 20-წლიანი მართვის უფლებით გადაცემას გეგმავს

თბილისი (GBC) - მთავრობა სახელმწიფო ტყის ფონდის 4%-ის 20-წლიანი მართვის უფლებით გადაცემას გეგმავს, - ამის შესახებ ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ გიორგი ცხაკაიამ გარემოსა და დაცვისა და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტების ხუთშაბათის გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა.

სხდომას, რომელიც ანტიკრიზისული საბჭოს მოთხოვნით გაიმართა, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ეკატერინე შარაშიძე, გარემოს დაცვის მინისტრი ირაკლი ღვალაძე და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც სხდომაზე ცხაკაიამ აღნიშნა, სახელმწიფო ტყის ფონდი 1 926 000 ჰა-ს შეადგენს, აქედან აუქციონის წესით, პირველ ეტაპზე კერძო პირების მართვაში 113 906 ჰა გადავა, ანუ ტყის ფონდის 4%. დღეისათვის ლიცენზიები 60 ათასი ჰა-ზეა გაცემული. აუქციონი არ შეეხება სათემო ტყეებს და დაცულ ტერიტორიებს.

გიორგი ცხაკაიას განმარტებით, აუქციონის მიზანია გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, სოციალური და ეკონომიკური განვითარება, ხის მასალის გადამამუშავებელი მრეწველობის შექმნა და დასაქმების ხელშეწყობა.

მისი თქმით, ლიცენზიის მიმღები ვალდებულია ტყის ინფრასტრუქტურა განავითაროს და განაწინაინების გეგმა შეიმუშაოს. ამასთან, სალიცენზიო პირობებით, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ტყის ფონდის მიწებსა და ტყის რესურსებზე ადგილობრივი მოსახლეობის დაკმაყოფილება და ლიცენზიით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად ადგილობრივი მოსახლეობის 98%-ის დასაქმება. სამასალე ხე-ტყის პირველადი გადამამუშავება კი საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელოს.

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის მიღებიდან 9 თვის ვადაში ჩაატაროს დეტალური ინვენტარიზაცია, რომლის სახელმწიფო რეგულირებას გარემოს დაცვის სამინისტროს ქვეუწყება გარემოს დაცვის ინსპექცია განახორციელებს. ასევე, ლიცენზიის ადგილიდან ერთი წლის შემდეგ, ყოველწლიურად გარემოს დაცვის სამინისტროში ლიცენზიანტმა ტყით სარგებლობის გეგმასთან ერთად ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)) წევრი ქვეყნის მიერ აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ გაცემული დადებითი ეკოაუდიტორული დასკვნა უნდა წარადგინოს.

გარემოს დაცვის სამინისტრო ლიცენზიანტს ტყით სარგებლობის გეგმას ინვენტარიზაციის ჩატარების შემდეგ დაუმტკიცებს და ყოველწლიურად მოსაჭრელი ხის მოცულობასაც დაუდგენს. აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის სამინისტრომ ტყის პირველადი ინვენტარიზაცია ჩაატარა.

აუქციონზე ტყით სარგებლობის ლიცენზიები მსხვილ, საშუალო და მცირე ლოტებად გაიცემა, რომელიც ტყის ფართობის მიხედვით დგინდება. ლიცენზიები ღია და დახურული აუქციონის წესით გაიცემა.

შეხვედრაზე დეპუტატები ტყის ინვენტარიზაციით და ეკოსისტემის მდგრადობით დაინტერესდნენ. საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა სახელმწიფო ინვენტარიზაციამდე ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის შეჩერება და აღნიშნულ პროცესში ექსპერტების ჩართვა მოითხოვეს.

გარემოს დაცვის მინისტრის ირაკლი ღვალაძის შეფასებით, ინვენტარიზაციის ჩატარება სახელმწიფოს მხრიდან დამატებით ხარჯებს მოითხოვდა. მინისტრის თქმით, სამინისტრო პროცესის რეგულირებას მკაცრად განახორციელოს, რომ 20 წლის შემდეგ სახელმწიფო მოტყუებულის როლში არ დარჩეს.

"წინასწარი ინვენტარიზაციის გარეშე წარმოუდგენელი იყო ლიცენზიებზე აუქციონის გამოცხადება, რაც ქმნის საფრთხეს, რომ ლიცენზიის საწყისი ფასი არასწორად დადგინდა. ბუნებრივია, რომ 20 წლის

წინათ ჩატარებული ინვენტარიზაციის მასალები არსებული რესურსის მოცულობაზე რეალურ სურათს ვერ შექმნის," - განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელმა ნინო ბუჯარამემ.

ლიკა ბახტაძე //ikab@gbc.ge/

2008.10.16 17:11